18. ამხ. ამხ. ბ. ნ. აბაკელიას და პ. კ. თოდუას განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან

განთავისუფლდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან ამხ. ამხ. ბორის ნესტორის-ძე აბაკელია და პატარენ კონსტანტინეს-ძე თოდუა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1954 წ. 9 აპრილი.

19. ბრძანებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის შექმნის შესახებ

შეიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1954 წ. 10 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

20. ბრძანებულება ამხ. ა. ნ. ინაურის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობისაგან

განთავისუფლდეს ამხ. ალექსი ნიკოლოზის-ძე ინაური საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობისაგან, მისი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1954 წ. 10 აპრილი.

21. ბრძანებულება ამხ. ა. ნ. ინაურის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარედ

დაინიშნოს ამხ. ალექსი ნიკოლოზის-ძე ინაური საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1954 წ. 10 აპრილი.

22. ბრძანებულება ამხ. ა. თ. ხელიძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის თანამდებობისაგან

განთავისუფლდეს ამხ. ალექსანდრე თადეოზის-ძე ხელიძე საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის თანამდებობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1954 წ. 10 აპრილი.

23. ბრძანებულება ამხ. დ. გ. მამამთავრიშვილის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად

დაინიშნოს ამხ. დავით გრიგოლის-ძე მამამთავრიშვილი საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1954 წ. 10 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

24. ბრძანებულება ამხ. ს. ვ. დურმიშიძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრად

დაინიშნოს ამხ. სერგი ვასილის-ძე დურმიშიძე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1954 წ. 10 აპრილი.

25. ბრძანებულება სსრ კავშირის ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის სამინისტროს ხრამის ჰიდროელექტროსადგურისათვის სერგო ორჯონიკიძის სახელის მიკუთვნების შესახებ

დაკმაყოფილდეს სსრ კავშირის ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის სამინისტროს ხრამის ჰიდროელექტროსადგურის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა, მოსამსახურეთა და საქართველოს სსრ წალკის რაიონის მშრომელთა შუამდგომლობა და ხრამის ჰიდროელექტროსადგურს ამიერიდან ეწოდოს „სერგო ორჯონიკიძის სახელობის ხრამის ჰიდროელექტროსადგური“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1954 წ. 10 აპრილი.

26. ბრძანებულება ამხ. ი. ნ. ლაღიძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის მინისტრის თანამდებობისაგან

განთავისუფლდეს ამხ. ილია ნიკიფორეს-ძე ლაღიძე საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის მინისტრის თანამდებობისაგან, მისი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1954 წ. 15 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

27. ბრძანებულება ამხ. ი. ნ. ლაღიძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ

დაინიშნოს ამხ. ილია ნიკიფორეს-ძე ლაღიძე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1954 წ. 15 აპრილი.

28. ბრძანებულება საქართველოს სსრ წალენჯიხის რაიონის სოფელ ობუჯის ბიბლიოთეკისათვის ლეო ქიაჩელის სახელის მიკუთვნების შესახებ

მწერალ ლეო ქიაჩელის (ლ. მ. შენგელაია) დაბადებიდან 70 წლის შესრულებასთან დაკავშირებით მიეკუთვნოს საქართველოს სსრ წალენჯიხის რაიონის სოფელ ობუჯის ბიბლიოთეკას ლეო ქიაჩელის სახელი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1954 წ. 15 აპრილი.

29. ბრძანებულება საქართველოს სსრ მესამე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

მოწვეულ იქნას საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მესამე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია 1954 წლის 27 მაისს ქალაქ თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1954 წ. 8. მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

30. ბრძანებულება ბოლნისის რაიონის მეორე უბნისა და დუშეთის რაიონის მესამე უბნის—ბარისახოს სახალხო სასამართლოების საარჩევნო ოლქების გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

ბოლნისის რაიონის მეორე უბნისა და დუშეთის რაიონის მესამე უბნის—ბარისახოს სახალხო სასამართლოების გაუქმებასთან დაკავშირებით, გაუქმდეს ბოლნისის რაიონის მეორე უბნისა და დუშეთის რაიონის მესამე უბნის ბარისახოს სახალხო სასამართლოების საარჩევნო ოლქები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1954 წ. 8 მაისი.

31. ბრძანებულება სიღნაღის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს არჩევნების პედაგოგიური სასწავლებლის № 3 საარჩევნო ოლქში გასული დეპუტატის ნაცვლად დეპუტატის არჩევნების ჩატარების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულების“ 119 მუხლის შესაბამისად, დაინიშნოს არჩევნები, მშრომელთა დეპუტატების სიღნაღის რაიონული საბჭოს არჩევნების პედასსწავლებლის № 3 საარჩევნო ოლქში, გასული დეპუტატის ნაცვლად, 1954 წლის 13 ივნისს.

2. დაევალოს სიღნაღის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს არჩევნების ჩატარებისას იხელმძღვანელოს „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულებით“ და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1951 წლის 2 ოქტომბრის ბრძანებულებით „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების ჩატარების წესის შესახებ ცალკეულ საარჩევნო ოლქებში, გასული დეპუტატების ნაცვლად“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1954 წ. 8 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

32. ბრძანებულება ქალაქ რუსთავში და ზუგდიდის რაიონში ახლად შექმნილ სახალხო სასამართლოების უბნებში სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 123 მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. ჩატარდეს ქალაქ რუსთავის ახლად შექმნილ მეორე უბნისა და ზუგდიდის რაიონის მესამე უბნის სახალხო სასამართლოების არჩევნები 1954 წლის 13 ივნისს.

2. სახალხო სასამართლოს ასარჩევ სახალხო მსაჯულთა რიცხვი განისაზღვროს: რუსთავის მეორე უბნის სახალხო სასამართლოსათვის—75-ით, ხოლო ზუგდიდის რაიონის მესამე უბნის სახალხო სასამართლოსათვის—65-ით.

3. გამოეყოს ქ. რუსთავის სახალხო სასამართლოს საარჩევნო ოლქს ტერიტორია შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით—მარინის არხი, სამხრეთით—გარდაბნის გზატკეცილი და საბჭოს ქუჩა, დასავლეთით—მდინარე მტკვარი, ჩრდილოეთით—გარდაბნის დამლობი ბაქო-თბილისის რკინიგზის პარალელურად 1,5 კილომეტრის მანძილზე და შეიქმნას ქ. რუსთავის მეორე უბნის სახალხო სასამართლოს საარჩევნო ოლქი.

4. გამოეყოს ზუგდიდის რაიონის მეორე უბნის სახალხო სასამართლოს საარჩევნო ოლქს ანაკლიის, დარჩელის, კიროვის, განარჯიის მუხურის, ორულის, დიდინეძის, ერგეტის, კოკის, ორსანტიის, ახალკახათის, ოქტომბრის, შამგონის სასოფლო საბჭოების და ანაკლიის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის ტერიტორია და შეიქმნას მესამე უბნის სახალხო სასამართლოს საარჩევნო ოლქი.

5. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების რუსთავის საქალაქო და ზუგდიდის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს სახალხო სასამართლოების არჩევნების ჩატარებისას იხელმძღვანელონ „საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულებით“ და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 31 ავგისტოს ბრძანებულებით „უფლებამოსილების ვადამდე გასული სახალხო მოსამართლის არჩევნების ჩატარების ვადების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1954 წ. 8 მაისი.

33. დაჯილდოებულ ა. თ. დანილოვის შუამდგომლობა საორდენო წიგნაკის დუბლიკატის მიცემის შესახებ

მიიღო რა მხედველობაში, რომ ანდრია თეოდორეს-ძე დანილოვმა საორდენო წიგნაკი დაკარგა ბინის გაქურდვის დროს და ის, რომ მას აქვს სამუშაოდან დადებითი დახასიათება, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკმაყოფილდეს ა. თ. დანილოვის შუამდგომლობა და ეთხოვოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მისცეს მას საორდენო წიგნაკის დუბლიკატი წითელი ვარსკვლავის ორდენისა და მედლის „საბრძოლო დამსახურებისათვის“, ნაცვლად დაკარგულისა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1954 წ. 8 მაისი.

34. სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით მედიცინის მუშაკთა დაჯილდოებისა და საპატიო წოდების მისანიჭებლად წარდგენის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ „წელთა ნამსახურობისა და უმწიკვლო მუშაობისათვის ექიმებისა და მედიცინის სხვა მუშაკთა დაჯილდოების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 10 ოქტომბრის ბრძანებულების მიღებიდან დღემდე სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია საქართველოს სსრ სამეურნალო-პროფილაქტიკური, ფარმაცევტიული და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების 2.568 მუშაკი. მიუხედავად ამისა, მედიცინის მუშაკთა დასაჯილდოებლად წარდგენის საქმეში ადგილი აქვს რიგ ნაკლოვანებებს.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო და მისი ორგანოები ადგილებზე არასაკმაო მუშაობას ატარებენ მედიცინის იმ მუშაკთა დროულად და სრულად გამოვლინებისათვის, რომელნიც დასაჯილდოებლად უნდა იქნენ წარდგენილნი. საქართველოს სსრ მედიცინის მუშაკთა მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელთაც აქვთ სათანადო წელთა ნამსახურობა, დღემდე დაუჯილდოებელია. ასე, მაგალითად 17.043 მედიცინის მუშაკისაგან, რომელთაც აქვთ 10 წელზე მეტი მუშაობის სტაჟი, არ არის წარდგენილი დასაჯილდოებლად 13.430 მუშაკი, ე. ი. 79%.

ადგილი აქვს დაჯილდოების მასალების ინსტრუქციის დარღვევით გაფორმების და სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში დიდი დაგვიანებით წარდგენის ფაქტებს, რის შედეგადაც სამინისტრო უკან აბრუნებს უხარისხოდ შედგენილ მასალებს. ასე, მაგალითად 1950 წლიდან დღემდე სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ უკან დააბრუნა მედიცინის მუშაკთა დაჯილდოების 1.078 საქმე და მეცნიერ მუშაკთა დაჯილდოების 123 საქმე, როგორც არასწორად გაფორმებული. დაჯილდოების მასალების დაგვიანებით წარდგენის გამო, 1952 წელს საქართველოდან არ დაუჯილდოებიათ მედიცინის არცერთი მუშაკი. მედიცინის მუშაკთა დასაჯილდოებლად წარდგენის საქმეში არსებით ნაკლოვანებებს ადგილი აქვს წულოკიძის, გარდაბნის, თელავის, ცხაკაიის, ქლუხორის და სხვა რაიონებში.

სერიოზულ ნაკლად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ის ფაქტიც, რომ საქართველოდან დაჯილდოებულ მედიცინის მუშაკთა საერთო რიცხვიდან, სოფლებში მომუშავე მხოლოდ 200 მედიცინის მუშაკია დაჯილდოებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად სწარმოებს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მუშაკთა დასაჯილდოებლად წარდგენა. 1950 წლიდან დღემდე საქართველოს სსრ-ში დაჯილდოებულია მხოლოდ 33 მეცნიერი მუშაკი, ხოლო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტიდან არავინ არ არის დაჯილდოებული.

1940 წლიდან დღემდე რესპუბლიკის 246 ექიმს მიენიჭა „საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის“ საპატიო წოდება. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ უკანასკნელი 7 წლის განმავლობაში ეს წოდება მიენიჭა მხოლოდ 24 ექიმს.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა ერთ-ერთი მიზეზი არის კადრების აღრიცხვის საქმის ცუდად დაყენება, განსაკუთრებით ჯანმრთელობის დაცვის საქალაქო და რაიონულ განყოფილებებში, რომლებსაც არასაკმაო კონტროლსა და დახმარებას უწევს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს (ამხ. დ. მამამთავრიშვილი):

ა) დასახოს და განახორციელოს ღონისძიებანი სამედიცინო კადრების აღრიცხვის საქმის გასაუმჯობესებლად ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივ ორგანოებში და დააკისროს ამ საქმეში პასუხისმგებლობა აღნიშნულ ორგანოთა ხელმძღვანელებს;

ბ) მიაღწიოს სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დასაჯილდოებელ მედიცინის მუშაკთა დროულ გამოვლინებას, დასაჯილდოებელი მასალების ხარისხიანად და ინსტრუქციის ზუსტად დაცვით გაფორმებას; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სოფლად მომუშავე მედიცინის მუშაკთა დასაჯილდოებლად წარდგენის საქმეს;

გ) დაწესებულ ვადებში უზრუნველყოს დაჯილდოების მასალების წარმოდგენა ადგილებიდან და სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში გაგზავნა;

დ) დროულად წარმოადგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში მასალები მედიცინის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მისანიჭებლად;

ე) სისტემატური კონტროლი და პრაქტიკული დახმარება გაუწიოს ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივ ორგანოებს მედიცინის მუშაკთა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დასაჯილდოებლად და საქართველოს სსრ საპატიო წოდების მისანიჭებლად წარდგენის საქმეში;

ვ) ჩატარებული მუშაობის შესახებ ანგარიში წარმოადგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში 1954 წლის 1 სექტემბრისათვის.

2. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს აღმოუჩინონ დახმარება ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებებს კადრების აღრიცხვის საქმის გასაუმჯობესებლად, დასაჯილდოებელ მედიცინის მუშაკთა გამოსავლინებლად და ჯილდოზე წარსადგენად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

3. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დაჯილდოებულთა აღრიცხვისა და რეგისტრაციის განყოფილებას თვალყური ადევნოს ამ დადგენილების შესრულებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1954 წ. 8 მაისი.

35. მახარაძის, წითელწყაროს და კასპის რაიონების კოლმეურნეობებთან სეზონური საბავშვო დაწესებულებების მოწყობისა და მათი მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მახარაძის რაიონში 1954 წელს გეგმით გათვალისწინებული იყო 125 საბავშვო ბაგის გახსნა 3.373 ბავშვისათვის, გახსნილია მხოლოდ 59 საბავშვო ბაგა, რომლებშიაც ირიცხება 1.394 ბავშვი.

წითელწყაროს და კასპის რაიონებში კოლმეურნეობებთან სეზონურ საბავშვო დაწესებულებების მოწყობის საქმეში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. აღნიშნული რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები დაკმაყოფილდნენ მხოლოდ გადაწყვეტილებების გამოტანით საბავშვო ბაგების მოწყობის შესახებ და არ მიიღეს ზომები მათ შესასრულებლად. არ ჩაუტარებიათ საბავშვო ბაგისა და ბაღის ასაკის ბავშვთა აღრიცხვა, არ არის გამოყოფილი საბავშვო დაწესებულებებისათვის საჭირო შენობები, საბავშვო დაწესებულებები არ არის დაკომპლექტებული მომუშავე პერსონალით და არ არის უზრუნველყოფილი საკმაო რაოდენობის ინვენტარით.

აღნიშნული რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებები ჯერ კიდევ არ შესდგომიან ბავშვების და მათი მომსახურე პერსონალის სამედიცინო შემოწმებას.

მახარაძის, წითელწყაროს და კასპის სამომხმარებლო კოოპერაციის რაიონული კავშირები არ აქცევენ სათანადო ყურადღებას საბავშვო დაწესებულებების საჭირო პროდუქტებით, ინვენტარით და სათამაშოებით მომარაგების საქმეს.

ამასთან ერთად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ შემოწმებულ რაიონებში გასულ წელსაც არ ექცეოდა ჯეროვანი ყურადღება კოლმეურნეობებთან საბავშვო დაწესებულებების მოწყობის საქმეს. კასპის რაიონში 1953 წელს მოწყობილი იყო მხოლოდ 1 საბავშვო ბაგა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 23 ბაგისა, რის შედეგადაც ბავშვიან ქალებს მცირე რაოდენობის შრომადღეები ჰქონდათ გამომუშავებული.

მახარაძის, წითელწყაროს და კასპის რაიონების კოლმეურნეობებში სეზონური საბავშვო დაწესებულებების მოწყობისა და მათი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1. დაეკალოს მახარაძის, წითელწყაროს და კასპის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს (ამხ. ამხ. დ. საბაშვილს, დ. ნატროშვილს, გ. ჯიქურაძეს):

ა) უმოკლეს ვადაში უზრუნველყონ კოლმეურნეობებში სეზონური საბავშვო დაწესებულებების მოწყობა და აღმოუჩინონ დახმარება ბავშვიან კოლმეურნე ქალებს, რათა მათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ საკოლმეურნეო შრომაში;

ბ) უზრუნველყონ კოლმეურნეობების საბავშვო დაწესებულებები მომზადებული და შემოწმებული კადრებით;

გ) მიიღონ ზომები საბავშვო ბაგებისა და ბაღების საჭირო პროდუქტებით და ინვენტარით მომარაგებისათვის;

დ) ურჩიონ კოლმეურნეობებს, კოლმეურნეთა საერთო კრების გადაწყვეტილებით დაამტკიცონ სეზონური საბავშვო დაწესებულებების მუშაობის ვადები, შეარჩიონ და დაამტკიცონ მომსახურე პერსონალის შტატები, გამოჰყონ საბავშვო დაწესებულებათა შესანახი ფონდები და თვალყური ადევნონ მათ დანიშნულებისამებრ გამოყენებას;

ვ) დაეხმარონ კოლმეურნეობებს სეზონურ საბავშვო დაწესებულებათა ტიპიური ბინების პროექტების შედგენის და მათი მშენებლობის საქმეში.

2. დაევალოს მახარაძის, წითელწყაროს და კასპის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს (ამხ. ამხ. დ. საბაშვილს, დ. ნატროშვილს, გ. ჯიქურაძეს) მიმდინარე წლის 15 ივნისისათვის წარმოუდგინონ მოხსენება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ამ დადგენილების შესრულების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ო. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1954 წ. 8 მაისი.

36. ბრძანებულება საქართველოს სსრ ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტროს შექმნის შესახებ

1. „სსრ კავშირის ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტროს შექმნის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 17 აპრილის ბრძანებულების შესაბამისად, შეიქმნას საქართველოს სსრ ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტრო საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს ხორცისა და რძის მრეწველობის საწარმოთა და ორგანიზაციათა ბაზაზე.

2. საქართველოს სსრ ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტროს გადაეცეს ხორცისა და რძის მრეწველობის საწარმოები და ორგანიზაციები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული სიის მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. შეტანილ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიის განსახილველად წინადადება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50 და 55 მუხლების სათანადო ცვლილების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1954 წ. 15 მაისი.

37. ბრძანებულება ამხ. გ. ს ქობულიას დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის მინისტრად

დაინიშნოს ამხ. გიორგი სამსონის-ძე ქობულია საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1954 წ. 18 მაისი.

38. ბრძანებულება ამხ. ვ. ნ. ჯანჯღავას დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრად

დაინიშნოს ამხ. ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე ჯანჯღავა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1954 წ. 18 მაისი.

39. ბრძანებულება ამხ. გ. ს. ჯომარჯიძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის მინისტრად

დაინიშნოს ამხ. გიორგი სიმონის-ძე ჯომარჯიძე საქართველოს სსრ ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1954 წ. 26 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

40. ბრძანებულება დუშეთის რაიონის გრემისხევის სასოფლო საბჭოდან სოფელ ჭონტალის გამოყოფისა და ამავე რაიონის ბაზალეთის სასოფლო საბჭოზე მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

გამოეყოს დუშეთის რაიონის გრემისხევის სასოფლო საბჭოს სოფელი ჭონტალი და მიეკუთვნოს იგი ამავე რაიონის ბაზალეთის სასოფლო საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1954 წ. 29 მაისი.

41. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის გატარების მდგომარეობის შესახებ ზესტაფონისა და ცხაკაიას რაიონებში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ზესტაფონისა და ცხაკაიას რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს (თავმჯდომარეები ამხ. ამხ. ს. ფეროაძე, პ. გიგიბერია) სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1953 წლის 8 აგვისტოს კანონის „სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ“ გატარების საქმეში აქვთ სერიოზული ნაკლოვანებანი.

ცხაკაიას რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომში 1953 წლის პირველ ოქტომბრიდან მიმდინარე წლის პირველ აპრილამდე 175 მოქალაქემ იჩივლა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის არასწორად შეწერის გამო. შემოწმებით გამოირკვა, რომ 121 მოქალაქის საჩივარი კანონიერი იყო, ხოლო ზესტაფონის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომში შესულ 854 საჩივრიდან კანონიერი აღმოჩნდა—494 საჩივარი.

ადგილი აქვს კანონის დარღვევის შემთხვევებს იმ ნაწილში, რომელიც ითვალისწინებს შეღავათებს შრომისუნარმოკლებულებზე—მოხუცებზე, ინვალიდებზე და საბჭოთა არმიის სამსახურში მყოფ პირთა ოჯახებზე.

ირღვევა აგრეთვე კანონის ის მუხლი, რომელიც ითვალისწინებს კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა წახალისებას პირადი საკუთრების უფლებით ძროხების შეძენისათვის.

რიგ შემთხვევაში, გადასახადის შეწერის დროს, არ არის მხედველობაში მიღებული მიწის ნაკვეთის საერთო ფართობიდან იმ მიწის ნაკვეთის გამორიცხვა, რომელიც უკავია ნაგებობებს, ტყეს, საზოგადოებრივ სარგებლობის გზას და სხვა. ცხაკაიას რაიონში ასეთი 60 შემთხვევაა გამოვლინებული, ხოლო ზესტაფონის რაიონში—170 შემთხვევა. ამის გარდა, მოქალაქეთა მეურნეობების სარგებლობაში მყოფი მიწის ფართობის არასწორად გამოთვლის შედეგად ზედმეტი გადასახადი იყო შეწერილი ცხაკაიის რაიონში 16 ოჯახზე და ზესტაფონის რაიონში—19 ოჯახზე.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის უიმედო ნარჩენების ჩამოწერის დროს არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება დოკუმენტების სათანადო გაფორმებას. ზეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაფონის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა მიმდინარე წლის პირველ კვარტალში 1953 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან რაიონის 9124 მეურნეობიდან გაათავისუფლა 1380 მეურნეობა თანხით 390.035 მანეთი. ცხაკაიას რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა რაიონის 6.332 მეურნეობიდან სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან გათავისუფლა 909 მეურნეობა თანხით 222.460 მანეთი, მაშინ როდესაც საბუთები განთავისუფლების შესახებ არ ქონდათ სათანადოთ გაფორმებული. რიგ შემთხვევაში ხდება შესწავლის გარეშე უიმედო გადამხდელების გადასახადისაგან განთავისუფლება. ცხაკაიას რაიონში აღმასკომის ოთხ სხდომაზე 244 მეურნეობას გადასახდელი ნარჩენები ჩამოეწერათ სიით, ხოლო ზესტაფონის რაიონში გადასახადის ჩამოსაწერად შედგენილ ზოგიერთ აქტს თარიღი არა აქვს და აღმასკომში წარდგენილია ფინგანის დასკვნების გარეშე.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის არასწორად გაწერაზე შეტანილი განცხადებები და საჩივრები იხილება დაგვიანებით, ხოლო მოქალაქეებს პასუხები ხშირ შემთხვევაში ეძლევათ არასწორად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ ზესტაფონის და ცხაკაიას რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს (ამხ. ამხ. ს. ფერაძე და პ. გიგიბერია) მიიღონ ზომები სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის გატარების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა უმოკლეს ვადაში აღმოსაფხვრელად, რისთვისაც:

ა) შეამოწმონ გაწერილი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონიერება და სასწრაფოდ გამოასწორონ დაშვებული შეცდომები;

ბ) არ დაუშვან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გაწერა იმ მოქალაქეებზე, რომლებზედაც უნდა გავრცელდეს შეღავათები;

გ) უიმედო გადამხდელებზე სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩამოწერისას ზუსტად დაიცვან სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს ინსტრუქცია;

დ) უმოკლეს ვადაში გამოასწორონ ნაკლოვანებანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვისა და პასუხის დროულად და სწორად გაცემის საქმეში.

2. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს (ამხ. ბ. ჩხეიძე): სისტემატურად შეამოწმოს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გაწერის და ამოღების მდგომარეობა რესპუბლიკის რაიონებში და მიიღოს სათანადო ზომები იმ პირთა მიმართ, რომელნიც დამნაშავენი იქნებიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის არასწორად გაწერის საქმეში.

3. დაეკალოს ზესტაფონის და ცხაკაიას რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს (ამხ. ამხ. ს. ფერაძე, პ. გიგიბერია) მიმდინარე წლის 1 ნოემბრისათვის წარმოუდგინონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მოხსენება ამ დადგენილების შესრულების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1954 წ. 29 მაისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

42. მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიუროების მუშაობის შესახებ საქართველოს სს რესპუბლიკაში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომები და მილიციის ორგანოები არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ბიუროებს, არ ამოწმებენ და არ ეხმარებიან მათ, რის გამოც მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიუროების მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. ხშირია შემთხვევები, როდესაც ახალდაბადებულ ბავშვებს რეგისტრაციაში ატარებენ დიდი დაგვიანებით. დროულად არ ხდება მშრომელთა განცხადებების განხილვა დაბადების, ქორწინების და სხვა სახის მოწმობათა გაცემის შესახებ (ქ. ქ. ფოთი, ქუთაისი, სოხუმი, მარნეულის, სილნაღის, ზუგდიდის, ბორჯომის რაიონები და სხვ.)

მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი რაიონული და საქალაქო ბიუროები არასაკმაოდ ატარებენ მოსახლეობაში ახსნა-განმარტებით მუშაობას, რის გამოც დროულად არ ხდება ახალდაბადებულთა და გარდაცვლებულთა რეგისტრაციაში გატარება.

მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიუროების უმეტეს ნაწილს, როგორც რაიონებში, ისე ქალაქებში არა აქვთ შესაფერისი ბინები და საჭირო ინვენტარი. ბინები არ არის კეთილმოწყობილი, ქორწინების რეგისტრაცია არ ხდება საზეიმო ვითარებაში.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომები სათანადოთ არ აფასებენ მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ბიუროების მუშაობას და არ ზრუნავენ მათი კეთილმოწყობისათვის; არ ატარებენ მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ბიუროთა შენობების შეკეთებას და ეზოების კეთილმოწყობას; არ უზრუნველყოფენ ბიუროებს სათანადო ინვენტარით და საკანცელარიო ნივთებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დაავალოთ საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს აღმოფხვრან მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიუროების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, რისთვისაც:

ა) უახლოეს დროში გამოყონ შესაფერისი ბინები მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ბიუროებისათვის, უზრუნველყონ ისინი საჭირო რაოდენობის ინვენტარით, გათბობით, სინათლით და ტელეფონით. დროულად ჩაატარონ ბიუროების შენობების შეკეთება:

ბ) წესრიგში მოიყვანონ მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიუროების ეზოები და მისასვლელი გზები, უზრუნველყონ მათი კეთილმოწყობა, გაუკეთონ ბიუროთა შენობებს სახელწოდების მაჩვენებელი აბრები;

გ) გაუთმაჯობესონ მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიუროების მუშაობა, აღმოუჩინონ დახმარება ბიუროს მუშაკებს, რათა დროულად ხდებოდეს მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერა, მშრომელთა განცხადებების განხილვა და მათზე პასუხების გაცემა;

დ) მიიღონ სათანადო ზომები, რათა მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ბიუროებში ქორწინების აქტის გაფორმების დროს შექმნილი იქნას საზეიმო ვითარება;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ე) მიიღონ ზომები, რათა სასოფლო საბჭოებმა დროულად და ხარისხიანად მოახდინონ მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების გაფორმება და მიაღწიონ იმას, რომ ახალდაბადებულნი დროულად იქნან გატარებული რეგისტრაციაში.

2. დაეკალოს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს რესპუბლიკური მილიციის სამმართველოს (ამხ. ი. ჟღენტი) გააძლიეროს კონტროლი მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიუროების მუშაობაზე.

3. ერჩიოთ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს შეამოწმონ და განიხილონ მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიუროების მუშაობა და მიიღონ ზომები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი.
1954 წ. 29 მაისი.

43. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულ მრავალშვილიან დედათა რიცხვიდან ნ. დ. ხარშილაძის ამოღების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

ამოღებულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 29 იანვრის ბრძანებულებით „დედობის მედლის“ მეორე ხარისხის მედლით დაჯილდოებულ მრავალშვილიან დედათა რიცხვიდან ნატალია დავითის ასული ხარშილაძე, როგორც შეცდომით განმეორებით დაჯილდოებული

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი.
1954 წ. 29 მაისი.

44. საქართველოს სსრ მესამე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის სტენოგრაფიული ანგარიშის გამოცემის შესახებ

1. გამოიცეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მესამე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის სტენოგრაფიული ანგარიში ქართულ და რუსულ ენებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. გამოსაცემი სტენოგრაფიული ანგარიშის ტირაჟი განისაზღვროს ქართულ ენაზე—500 ეგზემპლარით, რუსულ ენაზე—200 ეგზემპლარით.

3. დაევალოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს პოლიგრაფიული მრეწველობის, გამომცემლობებისა და წიგნის ვაჭრობის მთავარი სამმართველოს უფროსს ამხ. ბ. გ. ნინიტაშვილს უზრუნველყოს სტენოგრაფიული ანგარიშის გამოცემა ერთი თვის ვადაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1954 წ. 29 მაისი.